ნომერშია: ახალი სკანდალი — ნენსი ქალია თუ მამაკაცი? ● ზესტაფონელთა გრძელი საფეხბურთო გზა ● თავდასხმა ბლოხინზე ● დისკვალიფიკაცია — ნორმებით მიუღებელი ბენზინით სარგებლობის გამო ● დედაბერი — რეკორდსმენი...

ლელო

15–20 აპრილი, 1995 წ. ● №13 (10924)

ფასი 600 რუბლი, ან 175 000 კუპონი.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ ძოძუაშვილი დაიბადა 1945 წელს ქუთაისში, 15 აპრილს შეუსრულდა 50 წელი.

ფეხბურთის თამაში დაიწყო ბავშვთა ადგილობრივ სპორტსკოლაში.

1959 წელს ქუთაისის „ტორპედოს" ჭაბუკთა გუნდში აიყვანეს.

1960 წლიდან თამაშობდა „იმერეთში".

1962 წელს გახდა თბილისის „დინამოს" სათადარიგო შემადგენლობის წევრი.

1964 წელს იცავდა ქუთაისის „ტორპედოს" ღირსებას.

1965 წელს მცირე ხნით სოხუმის „დინამოში" თამაშობს და ისევ „ტორპედოში" ბრუნდება.

1966 წელს მიენიჭა სპორტის ოსტატის წოდება.

1968 წლიდან გამოდიოდა თბილისის „დინამოში".

მონაწილეობა აქვს მიღებული საკავშირო ჩემპიონატის 300 მატჩში, მათგან 233-ში როგორც თბილისის დინამოელს. სსრ კავშირის ნაკრებში ნათამაშევი აქვს 49 მატჩი. მსოფლიოს IX და X ჩემპიონატების, აგრეთვე ევროპის ჩემპიონატისა და XX ოლიმპიური თამაშების მონაწილე. 1972 წელს მიუნხენის თამაშებში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. სამჯერ ფლობდა საკავშირო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალსაც (1969, 71, 72). ხუთჯერ იყო სეზონის 33 საუკეთესო ფეხბურთელის სიაში, მათ შორის სამჯერ — პირველი ნომერი.

თამაშის დამთავრების შემდეგ მუშაობდა მწვრთნელად. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი, როგორც თბილისის „დინამოს" დამრიგებელმა.

იყო სწრაფი და მიზანმიმართული, კარგი ფიზიკური მონაცემებით. გამოირჩეოდა დაცვაში სიმიდო თამაშით, აქტიური იყო შეტევებში. გაითქვა სახელი როგორც პერსონალური. მეურვეობის დიდოსტატმა. შეეძლო მთლიანად გამოეთიშა თამაშიდან მოწინააღმდეგის ყველაზე საშიში ფორვარდი და, ამავე დროს, დახმარებოდა გუნდს შეტევაში. ყველაფერ ამას ახერხებდა ბრწყინვალე ფიზიკური მომზადების ხარჯზე.

1971 წლის 22 სექტემბერს [illegible] ის გუნდებს შორის, რომელიც მოიგეს მასპინძლებმა ანგარიშით — 1:0. [illegible] ჯარიმო დარტყმით გაიტანა მუნტიანმა. საბჭოთა ნაკრები ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: რუდაკოვი, ძოძუა [illegible] ვი, ზიკოვი, ხურცილავა, კოლოტოვი, მუნტიანი, დოლმატოვი, ფედოტოვი, შევჩენკო (იშტოიაზი), ეურიუუიხინი, ირლანდიელთა შორის იუვნენ: მაკფოლი, კრეიგი (ჰამლტონი), ნეილი, ჰანტერი, ნელსონი, ჰიგანი, კლემენსი, ნიკოლსონი, ო' კეინი, დუგანი, ბესტი.

ამ მატჩში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რევაზ ძოძუაშვილისა და ჯორჯ ბესტის პირად დუელს. ირლანდიელმა ფორვარდმა ჯერ კიდევ **1968 წელს**, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასში გამარჯვების შემდეგ (როგორც „მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდმა) ევროპის საუკეთესო ფეხბურთელისათვის განკუთვნილი „ოქროს ბურთიც" მიიღო და ამით ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ კონტინენტზე არ ჰყავდა ბადალი. მოსკოვის მატჩში ძოძუაშვილმა პირწმინდად უვნებელყო საშიში ფორვარდი და ამით ლომის წილი შეიტანა თავისი გუნდის გამარჯვებაში.

სურათზე: ჯორჯ ბესტი და მისი მუდმივი „ლანდი" — რევაზ ძოძუაშვილი.

საქართველო – ალბანეთი

როგორც გულშემატკივრებმა იციან, საქართველოს ეროვნული ნაკრები ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის მორიგ შესარჩევ მატჩს გამართავს შინ ალბანელებთან, 26 აპრილს. თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ეს შეხვედრა 19 საათზე დაიწყება. მატჩს იმსაჯებს ჰოლანდიელ მსაჯთა ბრიგადა: რ.ლუინგი, რ.ოვერკლიტი, ტ. ვან დაიკი (სარეზერვო მსაჯი ფ.სტერკი). უეფას დელეგატია ფინელი გ.კრუტელევი.

ტრადიციულად, წინა დღით უნდა გამართულიყო ახალგაზრდული (ოლიმპიური) ნაკრები გუნდების მატჩი, მაგრამ ალბანელები ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატში არ მონაწილეობენ.

პირველი ჯგუფი XX-XXI ტურები

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

„დურუჯი" (ყვარელი) — „ტორპედო" (ქუთაისი) 0-3,
„კახეთი" (თელავი) — „შევარდენი-1906" (თბილისი) 0-1,
„სამგურალი" (წყალტუბო) — „გურია" (ლანჩხუთი) 6-1,
„საპოვნელა" (თერჯოლა) — „მარგველთი" (ზესტაფონი) 2-1,
„გურია" (ხაშური) 4-1,
„დინამო" (თბილისი) — „დინამო" (ბათუმი) 4-2,
„კოლხეთი-1913" (ფოთი) — „სამტრედია" (სამტრედია) 3-0.
„მეტალურგი" (რუსთავი) — „დურუჯი" (ყვარელი) 1-0,
„იბერია" (ხაშური) — „დინამო" (ზუგდიდი) 1-2,
„დილა" (გორი) — „საპოვნელა" (თერჯოლა) 0-0,
„მარგველთი" (ზესტაფონი) — „სამგურალი" (წყალტუბო) 0-0,
„სამტრედია" (სამტრედია) — „ტორპედო" (ქუთაისი) 3-1,
„შევარდენი-1906" (თბილისი) — „დინამო" (თბილისი) 1-6.

როგორც ხედავთ, ბრძოლა პირველობისათვის სულ უფრო მწვავდება. დღეისათვის გათამაშებას კვლავ სათავეში უდგას „სამტრედია" (21 თამაშიდან მან 55 ქულა მოაგროვა), მას ფეხდაფეხ მიჰყვებიან თბილისის „დინამო" (20 თამაშიდან — 50 ქულა) და ფოთის „კოლხეთი-1913" (20 თამაშიდან — 45 ქულა).

ვფიქრობთ, გულშემატკივართათვის ინტერესსმოკლეტული არ იქნება, თუ შევახსენებთ, რომელ გუნდებთან აქვთ ლიდერებს კიდევ სათამაშო.

„სამტრედია": შინ: „შევარდენი-1906", „მარგველთი", „იბერია", „დინამო" (ზუგდიდი); სტუმრად: „დურუჯი", „დინამო" (ბათუმი), „გურია", „დილა", „მეტალურგი".

„დინამო" (თბილისი): შინ: „გურია", „დილა", „მეტალურგი", „საპოვნელა", „კახეთი"; სტუმრად: „კოლხეთი-1913", „მარგველთი", „იბერია", „დინამო" (ზუგდიდი), „სამგურალი";

„კოლხეთი-1913": შინ: „დინამო" (თბილისი), „შევარდენი-1906", „მარგველთი", „იბერია", „დინამო" (ზუგდიდი), „სამგურალი"; სტუმრად: „გურია", „დილა", „მეტალურგი", „საპოვნელა".

გაიმართა საქართველოს თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური მატჩები. ზუგდიდში ადგილობრივმა „დინამომ" უმასპინძლა თბილისელ თანაკლუბელებს, ხოლო რუსთავში „მეტალურგმა" მიიღო ბათუმის „დინამო". დაწვრილებით მიმოხილვას ამ მატჩების შესახებ „ლელოს" შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.

მსოფლიო ჩემპიონებზე წინ

თბილისელი ვასილ დავიდენკო პროფესიონალთა ელიტაში

როგორც ვიცოდნებოდით, საქართველოს პროფკავშირების რესპუბლიკურ ფლოსკოლაში აღზრდილი (დირექტორი ავთანდილ გუნია) ვასილ დავიდენკო ამჟამად ევროსოციალისტი ჩემპიონალი იტალიაშია და როგორც ევროსოციალისტი ხვდებოდა რანგის შეჯიბრებაში გამოდის. თანაც გუნდმოდგინედ ემზადება ატლანტის ოლიმპიური თამაშებისთვის. სადაც, ბუნებრივია, საქართველოს ღირსებას დაიცავს.

ამ დღეებში ლოზანიდან ჩვენმა თანამემამულემ მირონ ბარამიამ (იგი ევროსოციალისტთა საერთაშორისო კავშირის სპორტული კოორდინატორია) გამოაგზავნა ფაქსი, რომელშიც საუბარია ვასილ დავიდენკოს ერთ-ერთ გამოსვლაზე მეტად პრესტიჟულ რბოლაში: მილანი-სან-რემო. ეს შეჯიბრება, ფაქტობრივად, მსოფლიოს თასის პირველ ეტაპს წარმოადგენდა და ამიტომაც მასში თითქმის ყველა უძლიერესი პროფესიონალი მრბოლი გამოდიოდა.

ტრასა იყო უჩვეულოდ გრძელი და შეადგენდა 294 კილომეტრს. რბოლაში მონაწილეობდა, უფრო სწორად, სტარტი აიღო 193-მა ველოსიპედისტმა, აი ფინიში კი მხოლოდ 160-მა გადაკვეთა. 33-მა პროფესიონალმა ვერ გაუძლო რბოლის საკმაოდ რთულ პირობებს, მით უმეტეს, რომ საშუალო სიჩქარე იყო ერთობ მაღალი — საათში 43,5 კილომეტრი.

ფინიშზე ყველაზე ადრე ფრანგი ლორან ჯალაბერი მიიჭრა. ვასილ დავიდენკო ძირითად ჯგუფში იყო და მას 34-ე ადგილი მიეკუთვნა. იმისათვის, რომ უკეთ წარმოვიდგინოთ რას ნიშნავს ოცდამეთოთხმეტე ადგილი, გეტყვით: დავიდენკომ უკან ჩამოიტოვა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ჯ. ბუნიო). იტალია, 44-ე ადგილი), რუსი ევგენი ბერხინი (62-ე ადგილი, მინუს 50 წამი), მსოფლიოს 1993 წლის ჩემპიონი, ამერიკელი ლ. არმსტრონგი (73-ე ადგილი, მინუს 5 წუთი), უბბეკი ჯ. აბდუჯაპაროვი (მე-80 ადგილი, მინუს 6 წუთი), აგრეთვე, მსოფლიო თასის მარშანდელი მფლობელი, იტალიელი ჯ. ფურლანი (119-ე ადგილი, მინუს 8 წუთი).

ვასილ დავიდენკოს ფინიში

მაია ჩიბურდანიძე მეხუთეა

ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა ახალი რეიტინგი (1 აპრილისთვის):

ქალები
1. იუდით პოლგარი (უნგრეთი) 2630
2. უუჟა პოლგარი (უნგრეთი) 2562
3. სიუ უუნი (ჩინეთი) 2555
4. პია კრამლინგი (შვეცია) 2520
5. მაია ჩიბურდანიძე (საქართველო) 2502
6. სოფია პოლგარი (უნგრეთი) 2475

ვაუთა შორის პირველ ადგილზე კვლავ გარი კასპაროვია, რომელსაც 2805 ქულა აქვს. ანატოლი კარპოვი მას შესამჩნევად მიუახლოვდა - 2776. მომდევნო ადგილებზე არიან: 3. გატა კამსკი (აშშ), 4. ვასილ ივანჩუკი (უკრაინა), 5. ალექსეი შიროვი (ესპანეთი), 6. ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი).

კალათბურთი. საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი. თბილისის სპორტის სასახლე. უძლიერესი ექვსეულის მატჩები

პირველი წრე (შედეგები, რომლებიც „ლელოს" წინა ნომერში ვერ მოესწრო):
„თორსი" — „ვითა" 71:114, „კაქტუსი" — „დინამო" 91:66;
II წრე: „ვითა" — „მერანი" 149:72, „ოზოტი" — „კაქტუსი" 73:98, „დინამო" — „თორსი" 92:65.

ზურაბ ჯიჯიშვილი და ლევან აბრამიშვილი...

ერზრუმი (თურქეთი). აქ, სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით გაიმართა საინტერესო შეჯიბრება სპეციალურ სლალომში — „ერზერუმის პრიზი", რომელიც მოიგო ჩვენმა თანამემამულემ, ლილეჰამერის ოლიმპიადის მონაწილემ, ბაკურიანელმა ზურაბ ჯიჯიშვილმა. მეორე ადგილიც წილად ხვდა ბაკურიანელ ლევან აბრამიშვილს (ისიც ოლიმპიადის მონაწილეა). ქართველი სამთომოთხილამურეები სულ მალე ჰიმპერტუკსსა (ავსტრია) და სან-მორიცში (შვეიცარია) გამოვლენ.

ფინეთი — საქართველო. ფინეთის ჭალაქებში ჰელსინკსა და ტაამისაარში გაიმართა ადგილობრივი და საქართველოს ხელბურთელ ვაუთა გუნდების ორი შეხვედრა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის („ე" ჯგუფი) პროგრამით. ორივე ბრძოლა მინიმალური უპირატესობით მასპინძლებმა მოიგეს. ჰელსინკის მატჩში ანგარიში იყო 28:27, ტიმსაარას შეხვედრაში კი 27:24.

მინიფეხბურთი

ვახტანგ ჭელიძის პრიზი

თბილისის სპორტის სასახლეში დასრულდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის — ვახტანგ ჭელიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მინიფეხბურთში. შინაგან საქმეთა სამინისტროს ნაკრებმა ანგარიშით 1:0 (ნ. მეყანწიშვილი) დაამარცხა თბილისის შსს მთავარი სამმართველოს გუნდი. საუკეთესო მოთამაშის პრიზი გადაეცა გ. ორდელიძეს (მთავარი სამმართველო).

რა ხდება ქვეყანაზე

● **ბრაზილიის** სპორტის მინისტრად დანიშვნის პირველ დღეებში პელე დარწმუნებული იყო, რომ მის ქვეყანას უნდა ებრძოლა 2004 და 2008 წლის ოლიმპიური თამაშების მოწყობისათვის. გავიდა სამი თვე და მინისტრმა ამ საკითხზე აზრი შეიცვალა: „ჩვენ არც გამოცდილება გვაქვს და არც პირობები, რომ ჩავატაროთ ოლიმპიადა ან ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატი“, — განუცხადა პელემ ჟურნალისტებს.

● **მომავალი** ოლიმპიადის დედაქალაქ ატლანტაში, ახალ სტადიონზე ელექტროგანათების 15-მეტრიანი კოშკის მონტაჟის დროს დაიღუპა ერთი და დაშავდა სამი მუშა. სპეციალისტების გაანგარიშებით სტადიონის მშენებლობა 169 მილიონი დოლარი დაჯდება.

● **ორგზის** ოლიმპიურ და ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონს ძალოსნობაში, ალექსანდრე კურლოვიჩს (მძიმე წონა) იანვრის ბოლოს აღებულ სისხლის ანალიზში აღმოაჩნდა დოპინგის კვალი. განმეორებითი ანალიზის შემდეგ ამ შემთხვევას განიხილავს საერთაშორისო ფედერაცია.

● **ლოზანაში** ერთმანეთს შეხვდნენ პროფესიონალ ველოსიპედისტთა ასოციაციის ახალი პრეზიდენტი მორანო არეენტინი (იტალია) და ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირის (უსი) ხელმძღვანელი ჰეინ ვერბრიუგენი. შეხვედრის მიზანი იყო ურთიერთპოზიციების გარკვევა და დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის კონკრეტული გზების დადგენა.

● **პირველად** გახდა მსოფლიოს ჩემპიონი სპიდვეიში (მოტოციკლებით ყინულზე რობოლა) 47 წლის შვედი პერ-ოლაფ სერენიუსი.

● **მსოფლიოს** №1 ველოსიპედისტი შვეიცარიელი ტომი რომინგერი თვლის, რომ წლევანდელ „ჯირო დ' იტალიაში“ მონაწილეობა ხელს შეუწყობს „ტურ დე ფრანსისთვის“ მზადებაში. შეკითხვაზე აქვს თუ არა გეგმაში საკუთარი მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესება საათიან რბოლაში (55,291 კმ), რომინგერმა თქვა, რომ სარბიელზე გამოვა, თუ ვინმე დაამხობს მის მიღწევას. თავად რეკორდის შტურმი მას 1996 წლისთვის აქვს განზრახული.

● **მსოფლიოს** ექსჩემპიონი „ფორმულა-1“-ში, იწგილისელი ნაიჯელ მენსელი ავტოკატასტროფაში მოჰყვა. ეს მოხდა სამხრეთ-დასავლეთ ინგლისის ტრასაზე. მენსელის „მაკლარენ—მერსედესი“ შეეჯახა ორ ავტომანქანას. სერიოზულად არავინ დაშავებულა.

● **ბორის** ბეკერმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას გერმანიის ჩოგბურთის ფედერაციასთან 3,1 მილიონ მარკაზე. იგი ვალდებულებას იღებს ყოველმხრივ დაეხმაროს მას ახალგაზრდობის აღზრდაში. კონტრაქტში არაფერია ნათქვამი დევისის თასის გათამაშებაში ბეკერის მონაწილეობაზე.

● 13 **მაისს** სტარტს აიღებს ველოსიპედისტთა პოპულარული შეჯიბრება „ჯირო დ' იტალია“. რბოლაში მონაწილე 22 გუნდიდან უკვე ცნობილია თვრამეტის ვინაობა. ჯერ არაა დაზუსტებული გამოვა თუ არა ტრასაზე „ბანესტო“ ლიდერი მიგელ ინდურაინი. კლუბის სპორტულმა დირექტორმა ხოსე მიგელ ეჩავარიმ განაცხადა, რომ ინდურაინის წინაშე დასმულია ამოცანა — „ტურ დე ფრანსის“ მეხუთედ მოგება. ჯიროში მონაწილეობა გარკვეულწილად ხელს შეუწყობს ველოსიპედისტს მზადებაში, ამიტომ მას არ მოსთხოვენ იტალიის ტურის უსათუოდ მოგებას.

● **მექსიკის** რესპუბლიკის პრეზიდენტმა ერნესტო სედილიომ ოფიციალური [illegible] ამ დღეებში მათ შესაძლოა სვეიციაც დაემატოს. როგორც ცნობილია, შტუტგარტის მსოფლიო ჩემპიონატში ლაურეატებს საჩუქრად უახლეს „მერსე დესებს“ აძლევდნენ. ასეთივე პრიზები გადაეცემათ წლევანდელ გიოტბორგის ჩემპიონატში გამორჩეულებს. აი, მომავალ ჩემპიონატში გამარჯვებულები კი სტადიონზეე მიიღებენ ფულად კომპენსაციას.

● **მინესაპოლისში** გამართულ აშშ-ს მოცურავეთა ჩემპიონატზე ოლიმპიურმა ჩემპიონმა ჯანეტ ევანსმა 45-ე ოქროს მედალი მოიპოვა (მოიგო 800 მ. ცურვა თავისუფალი სტილით). ევანსი მეუახლოვდა ტრეისი კოლკინის რეკორდს, რომელსაც აშშ-ს ჩემპიონატებში მოგებული აქვს 48 ოქროს მედალი.

● 46 **წლის** მსოფლიოს ჩემპიონმა კრიგში ჯორჯ ფორმენმა ლას-ვეგასში დაიწყო მზადება ალექს შულცთან შესახვედრად. ამაე დროს იგი ფიქრობს სასამართლოთი დაბრუნოს ვბა-ს მიერ ჩამორთმეული ტიტული. თავის მხრივ ბრიუს შელდონთან შეხვედრისთვის წვრთნა დაიწყო ტონი ტაკერმა (ფორმენმა სწორედ მასთან ბრძოლაზე თქვა უარი). ფიქრობენ, რომ ეს ორივე მატჩი გაიმართება ნიუ-იორკის „ხიერს პალასში“ ოლივერ მაკოლისა და ლერი ჰოლმსის ორთაბრძოლის შემდეგ.

რა ხდება ქვეყანაზე

რკინა მძიმეა, უფრო მძიმეა მასთან ჭიდილში: აღზარდო ჩემპიონები და რეკორდსმენები



საქართველოს ძალოსნობის ფედერაცია დაბადებიდან 65 წლისთავს ულოცავს საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებულ მუშაკს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ძალოსნობაში, შოთა წერეთელს.

ვინც უხმაუროდ, დინჯად და რუდუნებით აკეთებს თავის საქმეს, საზოგადოებისაგან მეტ პატივისცემას იმსახურებს, ასეთ ადამიანებში წინა პლანზე მუდამ წამოწეულია პასუხისმგებლობის გრძნობა, ის არ ეძებს ფუჭ დიდებას, მერე კი, როცა თავდაუზოგავი გარჯის ნაყოფი მის სახელს გვირგვინად დაედგმება, კმაყოფილებით იტყვის თავისთვის და არა სხვის გასაგონად: „მადლობელი ვარ, რომ ცხოვრებას ფუჭად არ ჩაუვლია“.

ბევრნი არიან ასეთები? სპორტში ნამდვილად არიან, მათ შორისაა შოთა წერეთელი, რომლის ნაღვაწის შეფასებას არაერთი მაღალი წოდება ამშვენებს საპატიო და ბევრისთვქმელი სიტყვით — „დამსახურებული“.

ქართული სპორტის, კერძოდ ძალოსნობის მემატიანე, როცა ჩვენში სპორტის ამ სახეობის ყველაზე თვალსაჩინო წარმატებების აღნუსხვას მიადგება, არაერთხელ წამოატივტივებს შოთა წერეთლის გვარსახელს. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა და რეკორდსმენმა, შესანიშნავი მოქალაქისა და სპეციალისტის დიმიტრი კაპცოვის ნამოწაფარმა, შემდეგ შრომით საქმიანობაშიც დამკვარა რეკორდი — მთელი 23 წელიწადი (1969-1992) საქართველოს ძალოსანთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი იყო, რაც ძალზე იშვიათია არა მხოლოდ ძალოსნობაში, საერთოდ, სპორტში. დიდხანს იყო მიწვეული მწვრთნელად აგრეთვე სსრ კავშირის ნაკრებ გუნდში.

დიდ სპორტსმენებს და მათ აღმზრდელებს ხშირად ერთად იხსენიებენ. დიტო შანიძისა და შოთა წერეთლის სახელთანაა დაკავშირებული ჩვენს ძალოსნობაში ყველაზე მაღალი წარმატებები. ოსტატის ხელმძღვანელობით შეგირდი ორჯერ გახდა ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალოსანი, შოიმოვა მსოფლიო და ევროპის (ორგზის) ჩემპიონობა, ექვსჯერ უძლიერესი იყო საბჭოთა კავშირში, აღარაფერს ვამბობთ შინ და გარეთ დამყარებულ რეკორდებზე, ცალკეულ გამარჯვებებზე. შოთა წერეთლის სახელთანაა დაკავშირებული ალექსანდრე ჯეჯელავას და ვლადიმერ კაზანჯინის, ნუგზარ პაპიძის წარმატებები. კიდევ ერთი „რეკორდი“ ამშვენებს შოთა წერეთლის შრომით ბიოგრაფიას — აღზარდა 30-ზე მეტი სპორტის ოსტატი, რითაც იგი უბადლოა ძალისმიერ სპორტში.

წლებს მაინც თავისი გააქვს, თუმცა ერთი კარგი თვისება გააჩნია — ნაამაგარს, რაც დრო გადის, უფრო ღირებულს ხდის. შოთა წერეთელი 65 წლისა შესრულდა, დღემდე 45 წელიწადი სპორტს მიუძღვნა, კიდევ ბევრს მიუძღვნის, ახლაც ნაკრებ გუნდში მუშაობს მწვრთნელად და ახალგაზრდებს გადასცემს ოსტატის უძვირფასეს საგანძურს — გამოცდილებას.

ტესტირება სხვას ამტკიცებს, ნავალტე სხვას...

ასეთი სკანდალი ფილიპინებზე კარგა ხანია არ მომხდარა. ქვეყნის ჩემპიონი და რეკორდმენი მოკლე მანძილებზე რბენაში ქალთა შორის ნენსი ნავალტე აღმოჩნდა... მამაკაცი. ყოველ შემთხვევაში სპეციალურმა ტესტმა და შემდეგ მისმა გამეორებამ უცილობლად დაადასტურა ეს ფაქტი. თავად ნენსი თავგამოდებით ამტკიცებს, რომ მშვენიერთა სქესის წარმომადგენელია, მაგრამ როგორც ამბობენ, ფაქტი ჯიუტია.

მანილაში, ამ სენსაციასთან დაკავშირებით სპეციალურად მოწყობილ პრესკონფერენციაზე ეჭვმიტანილმა კატეგორიულად განაცხადა, რომ ქალი იყო მუდამ, [illegible] ნენსი:

— ოდესმე თუ გყოლიათ ბოი ფრენდი (მეგობარი მამაკაცი)?

საცოდავმა ნავალტემ ოდნავ გასაგონი ხმით წაილულღლუღა დიახო და პრესკონფერენციაც ამით დამთავრდა.

ამ ძალეოსნის მიმართ ფედერაციას ეჭვი კარგა ხანია ჰქონდა. მის სახელზე შემოსულიც კი იყო რამდენიმე სიგნალი და გაფრთხილება. ახლა, ფილიპინების ძალოსნობის ასოციაცია აგზავნიდა გუნდს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების პირველობაზე, სადაც ნენსის, წესით, წარმატების დიდი შანსები ჰქონდა, მაგრამ ფედერაციის ხელმძღვანელობამ თავის დაზღვევის მიზნით მაინც ჩაატარა სპორტსმენის ტესტირება და აი სკანდალიც...

საინტერესოა სპორტსმენის პირადი მწვრთნელის გოტენ კოკის მოსაზრება ამ სკანდალურ ამბავთან დაკავშირებით. მისი თქმით ეჭვები დიდი ხანია არსებობდა, მაგრამ დარწმუნებულია, რომ ნენსი გოგოდ დაიბადა. ეს მე ზუსტად ვიცი, — კატეგორიულად განაცხადა მან და ფილიპინებისა და ავსტრალიის სპეციალისტებს სთხოვა გამოკვლევის ხელახალი ჩატარება.

სხვათა შორის, ასეთი სკანდალი მსოფლიო მძლეოსნობის ისტორიაში ადრეც მომხდარა. განსაკუთრებით გახმაურებული იყო ცნობილი პოლონელი მძლეოსნის სტანისლავა ვალასევიჩის საქმე. მაგრამ ჯერ ორიოდ სიტყვა იმაზე, თუ ვინ იყო იგი, რა დამსახურება მიუძღვის სპორტში და როგორი შედეგები ჰქონდა.

სპორტულ ენციკლოპედიაში აღნიშნულია, რომ სტანისლავა ვალასევიჩი დაბადა 1911 წლის 11 აპრილს ვეშხოვოში (პოლონეთი). იყო 30-იანი წლების ერთ-ერთი საუკეთესო სპრინტერი ქალი მსოფლიოში. 1914 წელს [illegible] რებებში მაინც პოლონეთის სახელით გამოდიოდა. აშშ-ში მას სტელა უელშის სახელით იცნობდნენ. ლოს-ანჯელესის 1932 წლის ოლიმპიადის ჩემპიონი 100 მეტრზე რბენაში (11,9). ოთხი წლის შემდეგ ბერლინის თამაშებში იმავე დისტანციაზე ვერცხლის ჩმლდო დაიმსახურა (11,7). იყო ევროპის ჩემპიონი (1938 წ) 100 და 200 მ. რბენაში, ვერცხლის პრიზიორი სიგრძეზე ხტომასა და ესტაფეტაში 4X100 მ. გამარჯვებები აქვს მოპოვებული პოლონეთის, აშშ-ს, კანადისა და იაპონის ღია ჩემპიონატებში. 13-ჯერ გაუმჯობესა მსოფლიო რეკორდები 50,60,80,100,200 და 1000 მ. რბენაში.

როგორც ხედავთ, სტანისლავა ვალასევიჩს მოგებული ჰქონდა იმ დროს არსებული ყველა უმაღლესი ტიტული მძლეოსნობაში და ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ მძლეოსნად ითვლებოდა ქალებში. 1980 წელს ვალასევიჩი გარდაიცვალა. ტრადიციის თანახმად იგი გაკვეთეს და აღმოჩნდა, რომ ვალასევიჩი... მამაკაცი ყოფილა.

● **ატლანტის** 1996 წლის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის პრესსამსახურის განცხადებით, ქალაქში და მიმდებარე დასახლებულ პუნქტებში ყველა სასტუმრო უკვე დაჯავშნულია. საორგანიზაციო კომიტეტი მომავალ ტურისტებს ურჩევს ახლავე დაიჭირონ თადარიგი ატლანტის შემოგარენში მდებარე კემპინგების დასაჯავშნად.

● **ბერლინის** სენატმა 2000 წლის ოლიმპიადის ქალაქთა კონკურსში მარცხი დაამარცხა ფედერალურ მთავრობას და საინფორმაციო ეჯექიმ ფონდნენ ბერლინის კანდიდატურის მიმართ.

● **აშშ-ს** პრეზიდენტი ბილ კლინტონი ესტუმრა მომავალი ოლიმპიადის ქალაქ ატლანტას და მადლობა გადაუხადა მშენებლებს, რომლებმაც უკვე წარმატებით შეასრულეს სამუშაოების ორიმესამედი. პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა 40 ათასი მოხალისის უანგარო შრომასაც.

● **სპერმაშორის** ოლიმპიური კომიტეტის გენერალური დირექტორის ფრანკ კარარის განცხადებით გამორიცხული არ არის, რომ უახლოეს დროში ოლიმპიურ სახეობებად აღიარონ სამეჯლისო ცეკვები და სერფინგი. ამჟამად ამ საკითხს შეისწავლიან სოკ-ის ექსპერტები. თუ ყველაფერი დადებითად გადაწყდა, სამეჯლისო ცეკვები და სერფინგი დაემატება იმ 17 დისციპლინას, რომლებიც ოლიმპიურმა კომიტეტმა უკვე სცნო ოლიმპიურ სახეობებად. თუმცა ჯერ-ჯერობით თამაშების პროგრამაში ისინი არც ერთხელ არ ფიგურირებდნენ. სერფინგის მიმართ პრეტენზიები თითქმის არ არის. აი სამეჯლისო ცეკვებს კი ჰყავს ოპონენტები, თუმცა, უმრავლესობის აზრით, იგი დიდად არ განსხვავდება სინქრონული ცურვისა და ფიგურული სრიალისაგან.

● **ეროვნულმა** ოლიმპიურმა კომიტეტებმა, რომლებსაც აქვთ სურვილი იტვირთონ 2004 წლის თამაშების ორგანიზაცია, განაცხადები შესაბამისი საბუთებითა და დოკუმენტაციით უნდა წარუდგინონ სოკს ამა წლის 1 ივნისამდე. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, მაძიებელ ქალაქთა რაოდენობა 10-ზე მეტი იქნება. 2004 წლის ოლიმპიადის დედაქალაქს აირჩევს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესია ლოზანაში, 1997 წელს.

● **ავსტრალიის** ცურვის ფედერაცია წინადადებით შევიდა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში, რათა ჩინელი მოცურავეები ორი წლის განმავლობაში არ დაუშვან არც ერთ საერთაშორისო შეჯიბრებაში. ეს იყო რეაქცია იმ სადოპინგო სკანდალზე, რომელშიც ჩათრეული აღმოჩნდნენ ჩინეთის უძლიერესი მოცურავეები. მიუხედავად იმისა, რომ ავსტრალიის ფედერაციის გულისწყრომა სავსებით დასაბუთებულად და ლოგიკურად მიიჩნია, სოკის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა მაინც უარყო წინადადება, თუმცა განაცხადა, რომ სოკი ამიერიდან ერთი-ორად გაამკაცრებს კონტროლს დოპინგზე და უფრო მძიმე განაჩენსაც გამოიტანს.

● **მას** შემდეგ, რაც გვინეა-ბისაუმ მილიონ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დროებითი წევრის სტატუსი, სოკის მიერ „კურთხეულ“ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების რაოდენობა 194-მდე გაიზარდა.

● **ოლიმპიურ** მოძრაობაში განსაკუთრებული დამსახურებისთვის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრემიის ლაურეატი გახდა ცნობილი მექსიკელი არქიტექტორი, 76 წლის პედრო რამირეს ვასკესი, რომლის პროექტითაც აშენდა სტადიონი „აცტეკა“, მეხიკოს ანთროპოლოგიური მუზეუმი და ლოზანის ოლიმპიური მუზეუმი. ვასკესი, ამავე დროს, იყო მეხიკოს 1968 წლის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტი.

ხუთი შეკითხვა სპორტულ ფედერაციებს

1. როგორია თქვენი მონაგარი 1994 წელს?
2. რა გიშლიდათ ხელს შარშან უკეთესი შედეგების მიღწევაში?
3. როგორ ფიქრობთ, ხელშემშლელი მიზეზები დაიძლევა თუ გაღრმავდება 1995 წელს?
4. რა საშიშროება ემუქრება თქვენს სპორტის სახეობას და რა იხსნის მას?
5. როგორ იყენებთ პრაქტიკულ საქმიანობაში სახელმწიფო მეთაურის 1994 წლის 28 ივლისის ბრძანებულებას „სპორტის სფეროში გარდამავალ ეტაპზე სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ“

შეკითხვებს უპასუხებს საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ვლადიმერ გოგლიძე

1. ძნელ პირობებში გვიხდება მუშაობა, მაგრამ ფარ-ხმალს მაინც არ ვყრით. შარშან საქართველოს ქალთა ნაკრებმა პირველად მიიღო მონაწილეობა „ფედერაციის თასის“ გათამაშებაში, რაც, ფაქტობრივად, მსოფლიოს გუნდური პირველობაა. დებიუტი ჰქონდათ ვაჟებსაც, ისეთ პოპულარულ და პრესტიჟულ შეჯიბრებაში, როგორიც დევისის თასია, შარშან მნიშვნელოვნად აიმაღლა რეიტინგი 1993 წლის მსოფლიო ჩემპიონმა გოგონათა შორის ნინო ლეარსაბიშვილმა. იგი ახლა დროებით ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს, ინტენსიურად ვარჯიშობს და ჩოგბურთის კორიფეებთან კონტაქტის საშუალება აქვს.

ჩვენი ჩოგბურთელები, რთული პირობების მიუხედავად, ბევრს ვარჯიშობენ, როგორც შეგვიძლია ვებრძვით სიძნელეებს. გვეხმარება ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია, რომელმაც საჩუქრად გამოგვიგზავნა ვილსონის ფირმის ჩოგნები და, საერთოდ, უწინაც არაერთგზის გაგვიმართა ხელი.

2. ხელს გვიშლის დიდი ფინანსური სიძნელეები, ძალიან დაბალია მწვრთნელთა შრომის ანაზღაურება. ჩვენ, როგორც მოგეხსენებათ, გაერთიანებული ვართ ორ დიდ საერთაშორისო ორგანიზაციაში: ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციასა და ევროპის ჩოგბურთის ასოციაციაში. ეს იმას ნიშნავს, რომ ორივე ორგანიზაციაში წლიური საწევრო გადასახადი უნდა შევიტანოთ, თითოეულში 3-3 ათასი დოლარი. ეს, ჩვენთვის იოლი არ არის. ჯერჯერობით მხოლოდ საერთაშორისო ფედერაციის ვალი გავისტუმრეთ.

3. სიძნელეები თანდათან უნდა დაძლიოთ. იმედს მაძლევს ჩვენი მწვრთნელების კვალიფიკაცია, საქმისადმი უაღრესად კეთილსინდისიერი დამოკიდებულება და ენთუზიაზმი. საქართველოში ჩოგბურთი კვლავინდებურად პოპულარულია, მშობლებს მწვრთნელებთან ბევრი ბავშვი მიჰყავთ და შეძლებისდაგვარად ხელს უწყობენ მათ მზადებას.

4. პრივატიზაციის პროცესი არაორგანიზებულ ვითარებაში მიმდინარეობს, კერძოდ, მტკივნეულად შეგვეხო კორტების პრივატიზაცია. სათანადო თანხების უქონლობის გამო ძნელდება მათი მოვლა. გამოსავალს ვხედავთ ძლიერი საჩოგბურთო კლუბების შექმნაში.

5. სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულებამ ხელი უნდა შეგვიწყოს, მაგრამ ჯერჯერობით საქმე ძნელად მიდის წინ. მივმართავთ ხოლმე სათანადო რაიონების გამგებლებს, მაგრამ იქ, სადაც ჩვენი ობიექტებია, მათგან პრაქტიკულად რაიმე რეალური დახმარება არ მიგვიღია. სულ ერთსა და იმავე ამბებზეა ლაპარაკი: ვინ მოუვლის კორტებს, ვინ გადაიხდის შუქის, წყლის ფულს და ა.შ. ასე რომ, ჯერ-ლით უფრო ქმედით მხარდაჭერას.

ესაუბრა
ბეჟან თორელი

შორი გზიდან «მარგვეთამდე»...

ჩვენი ვრცელი საზოგადოებრიობა კარგად იცნობს ზესტაფონს თეატრალურ მოღვაწეთა მთელი პლეადით, სპორტში კი განსაკუთრებით ფეხბურთით. ზესტაფონელები იმითავითვე მონაწილეობენ საქართველოს ჩემპიონატებში, 33 წლის წინათ, 1962 წელს საქართველოს თასი დაისაკუთრეს, 1971 წელს თასის ფინალში ისპარეზეს. ყველაზე თვალსაჩინო წარმატებას საქართველოს პირველობაზე რაიონმა 1967, 1970, 1982 წლებში მიაღწია — მეორე ადგილები, ხოლო 1984 წელს მესამე იყო. რესპუბლიკის პირველ ეროვნულ ჩემპიონატში „მარგვეთმა" უმაღლესი ლიგის საგზური მოიპოვა, 1992-93 წლების გათამაშებაში მეექვსე ადგილზე გავიდა, ხოლო თასის გათამაშებაში ფინალს მიაღწია.

გთავაზობთ ინტერვიუს „მარგვეთის" მთავარ მწვრთნელთან ზაურ ჩუბინიძესთან და კლუბის პრეზიდენტთან ვასილ ხაჭაპურიძესთან (დაიბადა ზესტაფონში 1954 წელს: მონაწილეობდა „ტკავის ბურთის პრიზის" გათამაშებაში, თამაშობდა აგრეთვე კალათბურთს, დაამთავრა თსუ — ეკონომიკური ფაკულტეტი).



● გავიხსენოთ ფეხბურთელები, ვინც ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ტრადიციების ჩამოყალიბებაში, აგრეთვე, მწვრთნელები, რომელთა სახელებთანაც დაკავშირებულია ზესტაფონელთა წარმატებები...

ზ.ჩუბინიძე: გუნდის ტრადიციებზე და მის შემოქმედ ფეხბურთელებზე, როცა ესაუბრობთ, პირველ ყოვლისა, უნდა დავასახელოთ ზურაბ ბუხნიკაშვილი, კოსტა ჩაფიძე, სულიკო ნემსაძე, ოთარ სამყურაშვილი, თამაზ ჩახოიანცი, ანზორ სალაძე, იუზა ნიკოლეიშვილი, ქართლოს ცინცაძე, გელა ტოგონიძე, თომა სხილაძე, ენვერ ჩუბინიძე, დუდუ ღიბრაძე... მწვრთნელებიდან — პავლე მალაღურაძე, გურამ პეტრიაშვილი, ოთარ სამყურაშვილი, ზაურ ჩუბინიძე, დუდუ ღიბრაძე.

ვ.ხაჭაპურიძე: ისევე როგორც ფეხბურთელები, მწვრთნელებიც ძირითადად ჩვენი რაიონის მკვიდრნი არიან. ამჟამად კლუბში ჩემსა და ზაურის გარდა მუშაობენ გიორგი ღიბრაძე (გუნდის უფროსი), ნუგზარ ვარდოსანიძე და გაგული გეგეშიძე (მწვრთნელები).

● რით ხსნით მიმდინარე ჩემპიონატში „მარგვეთის" წარუმატებლობას?

ზ.ჩუბინიძე: როცა გუნდიდან ძირითადი შემადგენლობის 10 ფეხბურთელი მიდის, ვფიქრობ, ყველაფერი გასაგებია. მათი ადგილები ახალგაზრდებმა, რაც მთავარია, ადგილობრივმა ფეხბურთელებმა შეავსეს (საერთოდ გუნდში მხოლოდ სამი ფეხბურთელია მოწვეული), ბიჭებს დრო სჭირდებათ, მომავალს იმედით შევცქერით. ამასათან, სერიოზულად მოვკიდეთ ხელი რეზერვის აღზრდას. აქვე გეტყვით, ერთი ფეხბურთელი, გოჩა სულაკაძე საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებშია მიწვეული.

● რაკი მიზეზთა შორის ფინანსურ სიძნელეებს არ ასახელებთ, ე. ი. არ გიჭირთ...

ვ.ხაჭაპურიძე: არა, არ გვიჭირს, ეკონომიკური პრობლემები მოგვარებულია, ყოველ შემთხვევაში, საგანგაშო არაფერია.

● შეუძლია თუ არა მეორე წრეში გუნდმა გაიუმჯობესოს სატურნირო მდგომარეობა?

ზ.ჩუბინიძე: ჩვენი მოვალეობაა თითოეულ მატჩში შესაძლებლობათა მაქსიმუმი ჩავაქსოვოთ, ყველაფერი ვიღონოთ გამარჯვებისთვის, ფეხბურთელებიც ოპტიმისტურად არიან განწყობილი, მატჩი რა შედეგითაც უნდა დამთავრდეს, საკუთარი თავისა და გულშემატკივრების წინაშე უნდა იყო მართალი. მეორე წრე: „დილას" მოვუგეთ სტუმრად 2-0, რუსთავში ფრე 1-1 იყო, შინ წავაგეთ „ივერიასთან" 0-1, თერჯოლაში „საპოვნელასთან" 1-2, „სამგურალთან" შინ კი მატჩი ფრედ 0:0 დავამთავრეთ.

● მიმდინარე ჩემპიონატის I და II წრეების შუალედი როგორ გამოიყენეთ, გქონდათ თუ არა საკონტროლო მატჩები?

ვ.ხაჭაპურიძე: შუალედს უნაყოფოდ არ ჩაუვლია. საკონტროლო მატჩში ბორჯომში „თორთან" გავიმარჯვეთ 4-1, სამტრედიაში კი, ჩემპიონატის ახლანდელ ლიდერთან, ფრედ (2-2) დავასრულეთ შეხვედრა.

● თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს ეროვნული ჩემპიონატის სრულყოფისთვის და როგორ აფასებთ მის დღევანდელ სტრუქტურას?

ზ.ჩუბინიძე: მოკლედ გეტყვით, ჩემპიონატის სტრუქტურა მისაღებია, პრეტენზია არ გვაქვს.

● მსაჯებთან გაქვთ პრეტენზიები?

ვ.ხაჭაპურიძე: პრეტენზიების გამოხატვას თავისი წესი და დრო აქვს, მეტს ვერაფერს გეტყვით.

● გაიხსენეთ სიხარულიანი და ტკივილიანი მატჩები.

ზ.ჩუბინიძე: გამარჯვება გორის „დილასთან" ამ სეზონში ორჯერ და წაგება ლანჩხუთის „გურიასთან". ცხადია, უფრო მეტს ისეთ მატჩებს ვისურვებდით, ჩვენც და გულშემატკივრებსაც სიხარულს რომ მოგვიტანს.

მასალა მოგვაწოდა
რეზო კახნიაშვილმა
ზესტაფონი.



ზურაბ ჩუბინიძე

დაიბადა 1940 წელს ზესტაფონში. ფეხბურთის თამაში დაიწყო ქუჩის გუნდების პირველობებში. IX კლასიდან თერჯოლის ნაკრებ გუნდშია, რომელიც საქართველოს პირველობის III ჯგუფში მონაწილეობდა. პირველი მწვრთნელი იყო ალიოშა ყიფიანი. 1959-60 წლებში რეზო მესხის მინვევით თამაშობდა ქუთაისის „რიონში", შემდეგ — ქუთაისის „დინამოში". 1962-63 წლებში ფოთის „კოლხეთშია" მწვრთნელ გიორგი ანთაძესთან. 1964-65 წლებში ზურაბ ქვარიანმა თბილისის „ლოკომოტივში" გადაიყვანა, ხოლო მომდევნო სამი წელინადი ტყიბულის „მეშახტეში" გაატარა, მაშინ, 1966 წელს, „მეშახტე" ანდრო ყორდანიას ხელმძღვანელობით სსრ კავშირის პირველობის „ბ" კლასში გადავიდა და ზ.ჩუბინიძემ, თანაგუნდელებთან ერთად, სპორტის ოსტატის ნოდება მიიღო. 1970 წლიდან ზურაბი მშობლიურ ზესტაფონს დაუბრუნდა, აქ ითამაშა 2 წელინადი, შემდეგ იქვე დაიწყო მუშაობა „მეტალურგის" უფროს მწვრთნელად, მცირე შესვენების შემდეგ კვლავ დაუბრუნდა გუნდს.

1973 წელს დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი.

გადავხედოთ ისტორიას

რესპუბლიკის თასზე

ფეხბურთში საქართველოს თასის ნახევარფინალური მატჩი შედგა ლანჩხუთში, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ აღგილობრივი „გურია" და ზესტაფონის „მეტალურგი". მასპინძლებმა თავიდან ხელთ აიღეს უპირატესობა და გახსნეს კიდეც ანგარიში, თუმცა თავდამსხმელებმა ვერ გამოიყენეს რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი. შესვენების შემდეგ ზესტაფონელმა ფეხბურთელებმა შეძლეს გარდატეხის შეტანა თამაშში და დამარცხეს ძლიერი მოწინააღმდეგე ანგარიშით 2:1. ორივე ბურთი გაიტანა ტოგონიძემ.

ამრიგად, ზესტაფონის „მეტალურგმა" მიაღწია დიდ წარმატებას: იგი გავიდა საქართველოს თასის ფინალში, რომელიც 3 სექტემბერს გაიმართება თბილისში. ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს ბათუმის სპარტაკელებმა, რომლებმაც ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდთან შეხვედრაში მოიპოვეს გამარჯვება — 1:0. ნახევარფინალში თამაშობენ ბათუმის „სპარტაკი" და ტყიბულის „მეშახტე".

„ლელო", 1962 წლის 25 აგვისტო

თასის მისამართია — ზესტაფონი

ფეხბურთში საქართველოს თასის ფინალურ მატჩს თბილისის „ბურევესტნიკის" სტადიონზე ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდსა და ზესტაფონის „მეტალურგს" შორის პირველ დღეს არცთუ ისე ბევრი მაყურებელი ესწრებოდა, მაგრამ, როცა დაინიშნა განმეორებითი შეხვედრა, ტრიბუნებზე გაცილებით მეტი ადგილი შევიხილ, ხოლო, როცა საჭირო გახდა მესამე ფინალური მატჩის დანიშვნა (ვინაიდან პირველმა ორმა ვერ გამოავლინა გამარჯვებული), მაყურებელთა რაოდენობა საკმაოზე მეტი იყო. ფეხბურთის მოყვარულთა ინტერესი ფინალისადმი იზრდებოდა მინდორზე წარმოებული დაძაბული ბრძოლის პროპორციულად. გადამწყვეტი მატჩი დაიწყო სტუდენტთა ენერგიული, კოლექტიური შეტევით, მაგრამ „მეტალურგმა" შეძლო მისი მოგერიება და მალე თვითონ გადავიდა საპასუხო იერიშზე. უნდა ითქვას, რომ სტუმრების თავდამსხმელთა მოქმედება უფრო მწვავე და ეფექტური იყო. 27-ე წუთზე ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის კართან გათამაშებულ იქნა სწრაფი კომბინაცია, რომელიც ზუსტი დარტყმით დაამთავრა ჩუბინიძემ (№7) — 1:0. ზესტაფონელებს ტაიმის დასასრულამდე არ შეუწყვეტიათ იერიშები და ბოლო წუთებზე სხილაძემ (№8) ძნელი მდგომარეობიდან მეორე ბურთი გაგზავნა მოწინააღმდეგის კარში — 2:0.

ძალზე დაძაბულ ბრძოლაში ჩატარდა მეორე ტაიმი. ზესტაფონელმა ფეხბურთელებმა კარგი ურთიერთდაზღვევა აჩვენეს დაცვაში და არ მისცეს საშუალება მასპინძლებს ხელთ აეღოთ ინიციატივა. მხოლოდ მაშინ, როცა მატჩის დამთავრებამდე მცირე დრო იყო დარჩენილი, შეძლეს სტუდენტებმა ერთადერთი საპასუხო ბურთის გატანა (ჯიბლაძე) და თამაში დამთავრდა ზესტაფონელ ფეხბურთელთა დამსახურებული გამარჯვებით — 2:1, რომლებსაც აქვე გადაეცათ საპატიო პრიზი — რესპუბლიკის თასი.

გამარჯვებული გუნდი თამაშობდა შემდეგი შემადგენლობით: გაბისკირია, ნიკოლაიშვილი, კასრაძე, მაცაბერიძე, წვენიაშვილი, მაღლაფერიძე, ჩუბინიძე, სხილაძე, ტოგონიძე, ყიღენტი, შეყრილაძე. ზესტაფონის „მეტალურგი" მონაწილეობას მიიღებს საკავშირო თასის გათამაშებაში ფიზკულტურული კოლექტივების გუნდებისათვის. 13 სექტემბერს იგი თავის მინდორზე მიიღებს დნეპროპეტროვსკის „ავანგარდს".

„ლელო", 1962 წლის 8 სექტემბერი



1962 წელი. თბილისი. საქართველოს თასზე ზესტაფონის „მეტალურგისა" და ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდების ფინალური მატჩის ფრაგმენტი.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

● სერიოზული უსიამოვნება მოუვიდა საბერძნეთის „იონიკოსის" მწვრთნელს ოლეგ ბლოხინს. მისი კლუბი საბერძნეთის ჩემპიონატში მე-16 ადგილზე იმყოფება და სულს ღაფავს პირველ დივიზიონში. „იონიკოსის" გულშემატკივრები თავს დაესხნენ ო. ბლოხინს, რომელიც ვარჯიშის შემდეგ გამოდიოდა ქალაქგარეთ მდებარე სტადიონიდან და ფიზიკური ანგარიშსწორება დაუპირეს, მაგრამ მწვრთნელი გაიქცა, თავდამსხმელები კი ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა დაიკავეს.

ამ ინციდენტის თაობაზე „იონიკოსის" ხელმძღვანელობა პოლიციის დახმარებას არ ითხოვს, ვინაიდან საკუთარი ძალებით აპირებს მწვრთნელის დაცვას.

ბარსელონის მერიის ხელმძღვანელმა პასკალ მარაგალმა თხოვნით მიმართა ამ ქალაქის საფეხბურთო კლუბის ნევრს პოლანდიელ რ. კუმანს მონაწილეობა მიიღოს ესპანეთის მუშათა სოციალისტური პარტიის არჩევნებში, რომელიც 28 მაისისთვის არის გათვალისწინებული.

რ. კუმანმა კატეგორიული უარი განაცხადა: „პოლიტიკა მე არ მაინტერესებს".

● საფრანგეთის ქალაქ მარსელის საარბიტრაჟო სასამართლომ განიხილა საფეხბურთო კლუბ „ოლიმპიკის" ფინანსური ვითარება და დაადასტურა. მისი უაღრესად არასახარბიელო მდგომარეობა (ვალი — 59 მილიონი ამერიკული დოლარი).

„ოლიმპიკი" ამჟამად საფრანგეთის მეორე დივიზიონში გამოდის და შესაძლებლობაც აქვს უმაღლეს ლიგას დაუბრუნდეს, მაგრამ, როგორც ამბობენ, თუ მისი გაკოტრება დადასტურდა, კლუბს მესამე დივიზიონში გადაანაცვლებენ.

● იტალიის „იუვენტუსის" ცნობილი ფორვარდი ჯანლუკა ვიალი უეფას ნახევარფინალურ მატჩში დორტმუნდის „ბორუსიასთან" სერიოზულად დაშავდა და ერთი თვით გამოვიდა მწყობრიდან. მის ნაცვლად ძირითად შემადგენლობაში გამოდის ალესანდრო ბერგ პიერო.

● ესპანეთის „ბარსელონის" მწვრთნელმა იოჰან კრუიფმა განაცხადა, რომ არსად არ აპირებს გადასვლას და კლუბში რჩება სამუშაოდ. „ბარსელონას" საუკეთესო მომავალი აქვს". — განუცხადა მან ჟურნალისტებს.

● რუმუნეთ უეფას შტაბ-ბინაში გამოცხადდა, ევროპის 1996 წლის ჩემპიონატის (ფინალი მოეწყობა ინგლისში) ერთ-ერთი ოფიციალური სპონსორი იქნება დანიის ცნობილი ლუდის ფირმა „კარლსბერგი".

● 73 წლისა გარდაიცვალა საფრანგეთის ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ანრი გერენი, რომელიც გუნდს ხელმძღვანელობდა 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე.

● პორტუგალიის სუპერთასის ფინალური მატჩი „ბენფიკასა" და „პორტოს" შორის გაიმართება 20 ივნისს პარიზში, „პარკ დე პრენსის" სტადიონზე. მატჩის იმპრესარიოს ლუჩილიუ რიბეირუს განცხადებით, მაყურებლის პრობლემა დღის წესრიგში არ დადგება, ვინაიდან საფრანგეთში ცხოვრობს 600 ათასი პორტუგალიელი.

● იაპონიის კლუბი „კასიმა ანტლერსი" ბრაზილიელ ბებეტოს 2-წლიან კონტრაქტში 5 მილიონ დოლარს სთავაზობს. ბებეტოს კანდიდატურა კლუბის ხელმძღვანელობას მისცა მეორე ცნობილმა ბრაზილიელმა ზიკომ, რომელმაც უკვე დაამთავრა თავისი საფეხბურთო კარიერა სწორედ ამ კლუბში.

● ცნობილი კოლუმბიელი მწვრთნელი ფრანსისკო მატურანა სულ მალე ეკვადორის ნაკრებთან გადავა სამუშაოდ, რომელსაც მოამზადებს კიდეც მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის. ეს პოსტი თავისუფალი იყო 1993 წლიდან, როცა თანამდებობიდან გადადგა ჩერნიგორელი დუშან დრაშკოვიჩი.

ევროპის საკლუბო ტურნირები

ფეხბურთში ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის პირველი ნახევარფინალური შეხვედრები ასე დამთავრდა:

„სარაგოსა" (ესპანეთი) — „ჩელსი" (ინგლისი) 3:0

„არსენალი" (ინგლისი) — „სამპდორია" (იტალია) 3:2

სამივე ტურნირის ნახევარფინალის საპასუხო შეხვედრები გაიმართება 18, 19 და 20 აპრილს, მაისში — ფინალური შეხვედრები.

უეფას თასისა და ჩემპიონთა თასის ნახევარფინალური შეხვედრის შედეგები „ლელოს" წინა ნომერში დაიბეჭდა.

უეფას სანქციები

მკაცრად დაისაჯა საფრანგეთის „ნანტი", მის მოთამაშეებს ჟან-მიშელ ფერისა და რეინალდ პედროსს შესაბამისად 8 და 3 მატჩით მიეცათ დისკვალიფიკაცია. ჟ.-მ. ფერი დასჭილია დაუფარავი უნესობისთვის კირსტენის წინააღმდეგ ლევერკუზენის „ბაიერთან" მატჩში უეფას თასზე. 3-3 მატჩს გაცდენენ ჰოლანდიის „ფეიენოორდის" მოთამაშეები პეტერ ბოსი, იეზოფ კიარიჰი და ვიჩეგე.

2-2 მატჩში აეკრძალათ მონაწილეობა კრისტიან ვერნსს („ბაიერი", ლევერკუზენი), ხოსე ანტონიო შამოტს (იტალიის „სამპდორია") და ერთით — სვენ შოიენს (მიუნხენის „ბაიერნი").

ფულადი ჯარიმა დაეკისრათ სხვადასხვა კლუბებსა და ეროვნულ ფედერაციებს, რომლებმაც ვერ შეძლეს საჭირო წესრიგის დამყარება თავიანთ სტადიონებზე. ასე, მაგალითად, 32 ათასი შვეიცარიული ფრანკით დაჯარიმეს „ფეიენოორდი", 34 ათასი ფრანკით — რუმინეთის „სტიაუა", 26 ათასი ფრანკით — საფრანგეთის „პარი სენ-ჟერმენი", 18 ათასი ფრანკით — იტალიის „ლაციო". დაჯარიმდნენ, აგრეთვე ფრანკფურტის „აინტრახტი", დორტმუნდის „ბორუსია", იტალიის „პარმა", „ბაიერნი", „ნანტი", იტალიის „მილანი", „სამპდორია", ესპანეთის „ბარსელონა", პორტუგალიის „ბენფიკა", ხორვატიის „ჰაიდუკი", აგრეთვე, თურქეთის, ესპანეთისა და ბელგიის ეროვნული ფედერაციები.

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ მკაცრი სასჯელი გამოუტანა ლონდონის „ჩელსის" იმის გამო, რომ ინგლისის თასის მატჩში „მილუოლის" წინააღმდეგ 8 თებერვალს („ჩელსი" დამარცხდა დამატებითი 11-მეტრიანებით) გუნდის ქომაგები გადაიჭრნენ სათამაშო მინდორზე და მათი იქიდან გაყვანა მოხერხდა მხოლოდ ცხენოსანი პოლიციის მეშვეობით.

„ჩელსის" ხელმძღვანელობა განცხადებით გამოვიდა, რომ მუდმივ კონტროლზე ჰყავს მაყურებელთა უხიფათობა და ყოველმხრივ შეეცდება მომავალში არ დაუშვას მსგავსი უწესრიგობანი.

ჩვენი მილოცვა 70 წლის თენგიზ გიორგაძეს

მართლად თქვა თენგიზ გიორგაძემ: „ჭადრაკი ჩემი ცხოვრებაა, ჩემი სიხარული და დარდი!“ 61 წელია ეს დაუღალავი კაცი ჭადრაკის სამსახურშია — თამაშობდა, წვრთნიდა, მსაჯობდა, ორგანიზაციულ საქმიანობას ეწეოდა, ქველმოქმედებდა, საკუთრივ უნახავს ემანუილ ლასკერი და ხოსე რაულ კაპაბლანკა, მეგობრობდა და ახლო ურთიერთობაში იყო მიხეილ ბოტვინიკთან, პაულ კერესთან, მიხეილ ტალთან, დავით ბრონშტეინთან, სალო ფლორთან, ტიგრან პეტროსიანთან, ვიქტორ გოგლიძესთან, ვახტანგ ჭარსელაძესთან, 1940 წელს იყო საქართველოს მოსწავლეთა ჩემპიონი, 1963 წელს — თბილისის ჩემპიონი, 1948-69 წლებში გახლდათ საქართველოს ნაკრების წევრი, უმუშავია პიონერთა სასახლის ჭადრაკის კაბინეტის გამგედ, „ლელოს“ ჭადრაკის განყოფილების გამგედ, გაზეთ „მერანის“ რედაქტორად, ხელმძღვანელობდა საქართველოს ტელეგადაცემა „სამორინეს“, რადიოში მიჰყავდა საჭადრაკო გადაცემები, სათავეში ედგა ტელეგადაცემას „გამსვლელი პაიკი“, არის გაზეთ „გამბიტის“ ერთ-ერთი დამაარსებელი, ბევრჯერ უმსაჯია საერთაშორისო და საკავშირო ტურნირები, კომპოზიტორთა და ეტიუდისტთა კონკურსები, გამოცემული აქვს 35 წიგნი ჭადრაკის ისტორიაზე, თეორიაზე, მსაჯობაზე, ამჟამად ამზადებს ახალ წიგნს „ქართული ჭადრაკის მატიანე“ (VII საუკუნიდან დღემდე). მისი თაოსნობით ფიზიკური კულტურის აკადემიაში შემოიღეს ჭადრაკის სწავლების სპეციალიზაცია. ახლაც ენერგიითა და შემოქმედებითი ძიებით აღსავსე ადამიანის, მეგობარსა და კოლეგას ვუსურვოთ კვლავ და კვლავ განეგრძოს თავისი აქტიური, ნაყოფიერი საჭადრაკო მოღვაწეობა.

ლელოელები

სწორება ყვარელზე!

საქართველოში ბევრ სიკეთესთან ერთად, რაიონებში კარგად ორგანიზებული სპორტული ასპარეზობაც მონატრა ხალხს. სწორება ყვარელზე! არ შეიძლება არ შეფასდეს ძალისხმევა, რაც ამ რაიონის გამგებელმა როსტომ ნიორაძემ და საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ყვარლის ღვინის ქარხნის დირექტორმა თამაზ კენჭოშვილმა გამოიჩინეს თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა საქართველოს პირველობის მაღალ დონეზე ჩასატარებლად. სპორტსკოლის დარბაზი მაყურებლით გადაიჭედა, შეჯიბრებას ესწრებოდნენ ჩვენი სასიქადულო ვეტერანი ფალავნები ვახტანგ ბალავაძე, მირიან ცალქალამანიძე, ლევან თედიაშვილი, ნოდარ მოდებაძე, გურამ საღარაძე... გაგაცნობთ გამარჯვებულებს წონითი კატეგორიების თანმიმდევრობით: დიმიტრი გოგოლაშვილი (ყვარელი), ოთარ თუშიშვილი (გორი), ზაზა ქავთარია (თბილისი), თემურ ბენდიანიშვილი, თედო ულუმბეგაშვილი (ორივე — თბილისი), შოთა ბილანიშვილი (ყვარელი), მიხეილ ტურაშვილი (თბილისი), ალექსანდრე მოდებაძე (თელავი).

წინაა ევროპის პირველობა.

მსოფლიო კრივის სამყაროში

ჭირვეული რიდიკ ბოუ

პროფესიული კრივის ისტორიაში არის პერიოდები, როცა ამა თუ იმ წონაში იქმნება მაღალი კლასის ოსტატთა დეფიციტი და, ამის გამო, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისათვის (იგივე ოქროს ქამრისათვის) ბრძოლა ერთგვარად კარგავს ინტერესს. ვინ ვინ და მატჩების ორგანიზატორებმა, მენეჯერებმა, მოკრძალებულ ტერებმა კარგად იციან რომელი პრეტენდენტი ან ჩემპიონი რას წარმოადგენს და მათი ავტორიტეტის, პოპულარობის და შესაძლებლობების გათვალისწინებით ქმნიან მატჩის საპრიზო ფონდს, რომელიც ყველაფერზე უკეთ და, რაც მთავარია, ობიექტურად განსაზღვრავს ბრძოლის მნიშვნელობას. სწორედ ამიტომაა, რომ ყველაზე დაფასებულ, მძიმე წონაში გამარჯვებული ზოგჯერ პრემიის (პონორარის) სახით მილიონობით დოლარს იღებს, ზოგჯერ კი რამდენიმე ასი ათასს.

ამერიკელი სპეციალისტების აზრით, მძიმე წონაში დღესდღეობით მაღალი კლასის ოსტატთა ბარკვეული ვაკუუმია და სწორედ ეს განაპირობებს იმას, რომ ჩემპიონები სამივე ვერსიით სოკო�sივით მრავლდებიან და... ქრებიან. ტაისონის შემდეგ მძიმე წონაში რამდენადმე ღირსეული ჩემპიონი ერთი თუ ორი მოკრივე იყო და, ალბათ ამიტომ, ერთ მშვენიერ დღეს, ოქროს ქამარი ხელთ იგდო 45 წლის ვეტერანმა, მსოფლიოს ექსჩემპიონმა ჯორჯ ფორმენმა. პროფესიული კრივის ისტორიაში ამ მართლაცდა უნიკალური პიროვნების შარშანდელმა გამარჯვებამ კანონიერი განცვიფრება და... აღტაცება გამოიწვია, მაგრამ მან, ამავე დროს, ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი ოსტატობის მწვავე დეფიციტს მძიმე წონაში. ამასთან დაკავშირებით ერთი ამერიკელი მიმომხილველი, ავტორიტეტულ ჟურნალ „რინგში“ წერდა: „თუ ემოციებს გვერდზე გადავდებთ, ფორმენის გამარჯვება პროფესიული კრივის ტრაგედიაა და სხვა არაფერი:. როგორც ჩანს, ეს მართლაც ასეა.

და აი, ამ საყოველთაო დეფიციტის ფონზე ერთი ნათელი წერტილი მძიმე წონაში, ამერიკელი სპეციალისტების აზრით, რიდიკ ბოუა, რომელმაც თავისი საშინელი ხასიათის გამო (სამწუხაროდ, პრომოუტერიც ზუსტად ასეთი პყავს — რიკ ნიუმენი) ბევრი რამ დაკარგა და ვერ მიაღწია იმას, რისი ღირსიც ობიექტურად არის. აი მოკლედ მისი სპორტული ნაბიჯები:

1992 წ. 13 ნოემბერი. ბოუ ამარცხებს ევანდერ ჰოლიფილდს და ხდება მსოფლიოს ჩემპიონი სამი ვერსიით (ვბს, ვბა, იბფ).

ცოტა ხნის შემდეგ იგი ყველასათვის მოულოდნელად და გასაკვირველად უარს აცხადებს №1 პრეტენდენტთან, ინგლისელ ლენოქს ლუისთან შეხვედრაზე. აქ ერთი დეტალი უსათუოდ უნდა გავიხსენოთ: ლუისმა დაამარცხა ბოუ ნოკაუტით ჯერ კიდევ 1988 წელს, სეულის ოლიმპიადაზე. საფიქრებელია, რომ ბოუს გადაწყვეტილებას პქონდა ფსიქოლოგიური სარჩული.

ლუისის იგნორირებისათვის ვბს (მოკრივეთა მსოფლიო საბჭო) დაემუქრა ახლადგამომცხვარ ჩემპიონს ოქროს ქამრის ჩამორთმევით, რაც ტიტულის დაკარგვის ტოლფასია.

ბოუმ ამის საპასუხოდ მრავალრიცხოვანი ჟურნალისტებისა და ტელეკამერის წინ ვბს-ს ჩემპიონის ქამარი ნაგვის ყუთში ჩააგდო. ეს, რა თქმა უნდა, ყოველად დაუფიქრებელი და გაუმართლებელი გამოწვევა იყო, რომელიც უსათუოდ გამოიღებდა მოკრივისათვის უსიამოვნო შედეგს.

და გამოიღო კიდეც. თუმცა ვბა (კრივის მსოფლიო ასოციაცია) და იბფ (კრივის საერთაშორისო ფედერაცია) ჯერ კიდევ არ იჩენდა სიმტკიცეს და რაღაც, მხოლოდ მათთვის გასაგები მიზეზების გამო ეფერებოდა ჩემპიონს. თუმცა ჩანდა, რომ მოთმინების ფიალა მათაც ნელ-ნელა ევსებოდათ.

1993 წ. 6 ნოემბერი. მატჩ-რევანში ევანდერ ჰოლიფილდთან და რიდიკ ბოუ კარგავს ჩემპიონის ტიტულს დარჩენილი ორი ვერსიითაც.

ვბს-ს მხრიდან რეაქცია მომენტალურია: ბოუ აღარ შეპყავთ სარეიტინგო სიაში.

ვბა და იბფ უფრო თავდაჭერილად იქცევიან: ბოუს რეიტინგში სტოვებენ, მაგრამ სადღაც მეორეხარისხოვან ადგილზე. რაც შეეხება ჰოლიფილდს, იგი კატეგორიულ ბრძანებას იღებს. მომდევნო მატჩში უნდა შეხვდეს მაიკლ მურერს.

ამასობაში ჰოლიფილდის ჯანმრთელობა მკვეთრად გაუარესდა (ტკივილები გულის არეში), თუმცა პირველ ხანებში ამას ყურადღებას არც აქცევდა. ტკივილებს უმალავდა ექიმს და შედეგმაც არ დააყოვნა. ჰოლიფილდმა წაგო ბრძოლა. ჩემპიონი ორთავე ვერსიით მაიკლ მურერი გახდა.

ეს უკანასკნელი პროფესიულ კრივში არ არის ფიგურა, მაგრამ, როგორც ჩემპიონი, ცხადია, სარეგბლობს გადამწყვეტი ხმის უფლებით. მურერი გაურბის ბოუსთან ხელახალ შეხვედრას და მორიგ პარტნიორად 45 წლის! „პენსიონერს“ ჯორჯ ფორმენს ირჩევს.

რა მოხდა მერე, ყველამ კარგად იცის. მურერი დამარცხდა და ჩემპიონი ფორმენი გახდა, ბოუ კი თავისი მძიმე ხასიათის გამო კვლავ თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

საჭირო იყო რაღაც გამოსავლის მონახვა და აი ბოუ, მისი არანაკლებად ჭირვეული პრომოუტერ როკ ნიუმენთან ერთად ბოდიშის მოსახდელად ჩადის ინგლისში ლუისთან. ამ დროისათვის ინგლისელი ფლობს მსოფლიოს ჩემპიონის ქამარს ვბს-ს ვერსიით. მაგრამ ერთია ჩემპიონობა, მეორეა აღიარება ამერიკაში. ეს კი, იცის ლუისმა, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ბოუს დაამარცხებს იქაური მაყურებლის თვალწინ. ლუისი, ფაქტობრივად, თანახმაა მიიღოს ბოუს წინადადება, მაგრამ...

მანამდე მას უნდა ჩაეტარებინა ერთი უმნიშვნელო ბრძოლა ოლივერ მაკოლისთან. ეს უნდა ყოფილიყო თავისებური საშუალედო ბრძოლა ბოუსთან შეხვედრის წინ. მაგრამ ეს „უმნიშვნელო“ მატჩი ლუისმა მეორე რაუნდში ნოკაუტით წააგო.

სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა და ისევ ბოუს საწინააღმდეგოდ. საქმე ის გახლავთ, რომ მაკოლისა და მის ლეგენდარულ პრომოუტერს დონ კინგს ძლიერი ბოუ აღარ სჭირდებათ, მით უმეტეს, რომ მაიკ ტაისონმა მოიხადა სასჯელი და განთავისუფლდა ციხიდან.

აქ ყურადსაღებია ერთი ნიუანსიც. კინგი მაიკ ტაისონის პრომოუტერიც არის და, ბუნებრივია, ცდილობს მოაწყოს სუპერმატჩი (ან როგორც მას თვითონ უწოდა, საუკუნის მატჩი) ტაისონსა და მაკოლის შორის.

იმისათვის, რომ აშკარად თამაშგარე მდგომარეობაში არ აღმოჩენილიყო, ბოუ დათანხმდა ბრძოლას პერში პაიდთან, რომელიც ჩემპიონი იყო ყველაზე ნაკლებად პოპულარული ვბო-ს (კრივის მსოფლიო ორგანიზაცია) ვერსიით. თანაც ხელი მოაწერა აშკარად კაბალურ კონტრაქტს, რომლის თანახმად პაიდს უნდა მიეღო 3,2 მილიონი დოლარი, მას კი მილიონზე ცოტათი მეტი.

ეს ბრძოლა, როგორც ვიუწყებოდით, გაიმართა 11 მარტს ლასვეგასში და დამთავრდა ბოუს უსიტყვო გამარჯვებით.

შეხვედრა სტენოგრამიულად ასე მიმდინარეობდა: პირველი ორი რაუნდი — პაიდის ერთგვარი უპირატესობა, მესამე რაუნდი — პაიდი ორჯერ აღმოჩნდა ნოკდაუნში,

მეოთხე რაუნდი — ისევ ორი ნოკდაუნი, მეხუთე რაუნდი — მეხუთე ნოკდაუნი, მეექვსე რაუნდი — ნოკაუტი და ბოუს ბრწყინვალე გამარჯვება. პაიდმა ამ მატჩში მეტოქეს 120 დარტყმა მიაყენა, ბოუმ კი მხოლოდ 79. ბრძოლის დაწყების წინ ბოუ 109 კილოგრამს იწონიდა, პაიდი — 97-ს. და კიდევ ერთი მონაცემი შედარებისათვის — ბოუს სიმაღლეა 196 სმ, პაიდის — 188.

ამ გამარჯვების შემდეგ ბოუ ფავორშია. მორიგ მეტოქედ მას გაუსაზღვრეს კუბელი ხორხე გონსალესი. ეს შეხვედრა გაიმართება 8 მაისს ლას-ვეგასში. ბოუ უკვე ყველა შემთხვევაში 10 მილიონ დოლარს მიიღებს.

ბოუ-გონსალესის ორთაბრძოლაში გამარჯვებული ტაისონს უნდა შეხვდეს. ყოველ შემთხვევაში როლები ჯერჯერობით ასეა განაწილებული. ამერიკელებს მიაჩნიათ, რომ ბოუ-ტაისონის შეხვედრა იქნება ყველაზე გრანდიოზული სანახაობა მას შემდეგ, რაც 1975 წელს მანილაში მოპამედ ალიმ აჯობა ჯო ფრეზერს.

სტეიტლაინში (ნევადის შტატი, აშშ) **გაიმართა ორი ბრძოლა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისათვის ვბს-ს (კრივის მსოფლიო საბჭო) ვერსიით. ყველაზე დაბალ წონაში (47,6 კგ) დაუმარცხებელმა მექსიკელმა რიკარდო ლოპესმა მეოთოთხმეტედ დაიცვა თავისი ტიტული. მან შეხვედრის დამთავრებამდე 15 წამით ადრე ნოკაუტი აჯობა ფილიპინელ ენდი ტობიანსს. მეორე ბრძოლაში ურთიერთობას არკვევდნენ ქვემძიმე წონის მოკრივეები (79,4 კგ.) ამერიკელი ვირჯილ ჰილი და ინგლისელი კროუფორდ ეშლი. ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა ამერიკელმა.**

ნაგოიაში (იაპონია) **მსოფლიოს ჩემპიონი ვბს-ს ვერსიით, იაპონელი იასუი იაკუშიჯი (53,5 კგ) თორმეტრაუნდიან მატჩში შეხვდა ამ ტიტულის მაძიებელ მექსიკელ გუანტენოს გომესს. იაპონელმა გაიმარჯვა ქულებით.**

ანაჰაიმი **კალიფორნიის ამ ქალაქში გაიმართა სამი ბრძოლა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისათვის და სამივე მექსიკელმა მოკრივეებმა მოიგეს. 49 კგ-ში ჩემპიონი გახდა (ვბს-ს და იბფ-ს ვერსიებით) უმბერტო გონსალესი, რომელმაც მეხუთე რაუნდის ბოლოს ნოკაუტში გაგზავნა კოლუმბიელი ხესუს სუნიგსი, ქვემსუბუქ წონაში ალეხანდრო გონსალესმა დაძაბული ბრძოლის შემდეგ სძლია ამერიკელ ლუი ესპანოზას, პირველ ქვემძიმე წონაში კი ვბო-ს (მოკრივეთა მსოფლიო ორგანიზაციის ვერსიით) ჩემპიონი გახდა მიგელ ანტონიო ბარერა, რომელმაც ოქროს ქამარი ჩამოართვა პუერტორიკოელ დანიელ ჰიმენესს.**

ჩვენთანაც ველოდებით...

ყოფილი სსრ კავშირის რესპუბლიკების საფეხბურთო ცხოვრებაში თანდათან გამოჩნდნენ შორეული საზღვარგარეთის ქვეყნების ფეხბურთელები და მწვრთნელები.

უზბეკეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ცნობით სულ ახლახანს ამ ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონთან ტაშკენტის „ფახთაკორთან“ ორწლიან კონტრაქტს ხელი მოაწერა 42 წლის ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ჰანს ფერელმა, რომელიც მანამდე მუშაობდა „სპარტაში“, „დოდრეჰტში“ და „ბრედში“. ეს გარიგება დაუფინანსებია ტაშკენტში მომუშავე ერთ-ერთ ჰოლანდიურ ფირმას.

სამწუხაროდ, ჰოლანდიელი სპეციალისტის დებიუტი უიღბლო გამოდგა: მისი ახალგაზრდული გუნდი უზბეკეთის ეროვნული ჩემპიონატის პირველივე ტურში საკუთარ მინდორზე დამარცხდა პავლოდარის „ტრაქტორთან“ 0-1. და ეს მაშინ, როცა „ფახთაქორის“ შემადგენლობა გაძლიერდა რამდენიმე ფეხბურთელით, რომლებმაც შარშან აზიური თამაშების ჩემპიონობა მოიპოვეს.

როგორც ცნობილი გახდა, მოსკოვის „დინამოს“ მთავარმა მწვრთნელმა კონსტანტინე ბესკოვმა გუნდში სათამაშოდ მოიწვია ნიგერიის ეროვნული ნაკრების ორი მოთამაშე — ნახევარმცველი პრეციუს მონიე და თავდამსხმელი ამირ ანგვე.

პრესაში გამოჩნდა აგრეთვე ცნობები, რომ რუსეთის პირველობაზე მოთამაშე კიდევ რამდენიმე კლუბი ახლო მომავალში აპირებს თავის შემადგენლობაში აიყვანოს საზღვარგარეთელი მოთამაშეები. ამასთან დაკავშირებით, რუსეთის პროფესიული ლიგის გენერალურმა დირექტორმა ვიტალი კრეჩეტოვმა აცნობა კლუბებს, რომ მათ უფლება ეძლევათ ეროვნული ჩემპიონატის თითოეულ მატჩზე შემადგენლობაში იყოლიონ არაუმეტეს სამი ლეგიონერისა.

თუ საქართველოში ცხოვრების დონემ აიწია, საფეხბურთო კლუბები ფინანსურად გაძლიერდნენ, როგორც ჩანს, ჩვენს პირველობაზეც ვიხილავთ უცხოელ ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს.

104 წლის რეკორდსმენი

ესეც თავისებური რეკორდია, რომ 104 წლის ადამიანი რეკორდს ამყარებს. მარია არეშაკოვამ სოფელ დრანგოვოდან, რომელიც ბულგარეთის სამხრეთ-დასავლეთში მდებარეობს, ბირთვი პკრა 4 მეტრსა და 12 სანტიმეტრზე და 58 სანტიმეტრით გააუმჯობესა 100 წლეს გადაცილებულთა მსოფლიო რეკორდი (ეკუთვნოდა ამერიკელ მარგარეტ უაიტს).

ახალმა რეკორდსმენმა თავისი ეს წარმატება ახსნა იმით, რომ 80 წლის მანძილზე იცავს დიეტას: დილით უზმოზე — თაფლი, სადილზე დესერტად ხილი, ვახშმის ბოლოს 50 გრამი ჭაჭის არაყი.

ინფორმაცია

აშშ-ს საუნივერსიტეტო კალათბურთის 57-ე ჩემპიონატში (წყობა 1939 წლიდან) მეთერთმეტედ გაიმარჯვა ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტმა, რომელმაც გადამწყვეტ შეხვედრაში აჯობა არკანზასის უნივერსიტეტს — 89:78

NBA-ს ამბები

შეჯიკი და ჯაბარი ერთ გუნდში

პროფესიული კალათბურთის სუპერვარსკვლავები ჭარიმ აბდულ-ჯაბარი და მეჯიკ ჯონსონი მთელი ათი წლის მანძილზე (1979-89 წწ სეზონებში) ნბა-ს ერთ-ერთი უძლიერესი და ტიტულოვანი კლუბის „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის“ ღირსების იცავდნენ. ამ ხნის განმავლობაში კლუბი ხუთჯერ გახდა ლიგის ჩემპიონი. გარდა ამისა, ხან ერთი, ხან მეორე იღებდა ყველაზე სასარგებლო მოთამაშისთვის განკუთვნილ პრიზს, რასაც ნბა-ში დიდად აფასებენ. ამ დღეებში ჯონსონსა და ჯაბარს ერთხელ კიდევ მოუზდათ ერთად თამაში. ოსაკაში (იაპონია) 9 ათასი მაყურებლის თანდასწრებით ნბა-ს ვეტერანთაგან შემდგარმა გუნდმა — 116:58 დაამარცხა იაპონიის ეროვნული ნაკრები. ამ გახმაურებულ მატჩში ჯონსონმა გუნდს 28 ქულა შესძინა, ჯაბარმა კი — 13. მთელი შემოსავალი იაპონიაში მიწისძვრით დაზარალებულთა ფონდს გადაეცა.

მადრიდს „რეალის“ ცენტრალურმა თავდამსხმელმა, ლიტველმა არვიდას საბონისმა ნბა-ს ერთ-ერთ პოპულარულ კლუბთან — „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსთან“ ხელი მოაწერა კონტრაქტს. როგორც იტყობინებიან, კონტრაქტის ვადა ხუთწლიანია. 30 წლის საბონისის ყოველწლიური შემოსავალი ამერიკიდან მილიონი დოლარი იქნება, გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე „რეალში“ ჰქონდა. გასაკვირია, რატომ არ აფორმებდა საბონისი აქამდე კონტრაქტს ნბა-ში?

მოთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

უუმახერი ლიდერის ჯვირთით და პროგლემებით

ფორმულა-1-ის კლასში, მიმდინარე წლის პირველი საავტომობილო რბოლისას, რომელიც ბრაზილიის ქალაქ სან-პაულოში გაიმართა, ყველასათვის მოულოდნელად გამარჯვებულად გამოცხადდა მესამე ადგილზე გასული ავსტრიელი სპორტსმენი გერხარდ ბერგერი. საქმე იმაშია, რომ საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის მიერ, დადგენილი ნორმებით მიუღებელი ბენზინის გამოყენების გამო, დისკვალიფიკაცია მიეცათ 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონს გერჰარდ მიხაელ შუმახერს, რომელიც ფინიშთან პირველი მივიდა და მეორე ადგილზე გამოსულ ბრიტანელ დემონ ხილს.

როგორც კომენტატორები აღნიშნავენ, შუმახერზე ამ ფაქტს დიდად არ უმოქმედია. იგი დარწმუნებულია, რომ შეინარჩუნებს მსოფლიოს პირველი მრბოლის ტიტულს, რაც ალბათ რეალურია, რადგან ჩემპიონატი მხოლოდ სტარტზეა და პირველ კილომეტრებს ითვლის.

26 წლის მიხაელ შუმახერი, შარშან მაისში, ბრაზილიელი აირტონ სენას ტრაგიკული დაღუპვისა და სცენიდან ფრანგი ალენ პროსტის წასვლის შემდეგ ფორმულა-1-ის უცვლელ ლიდერად იქცა. იგი იმ სპორტსმენთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა წარმატებები დიდ შრომასთანაა დაკავშირებული, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ მიხაელ შუმახერის ყოველწლიური შემოსავალი 22 მილიონ დოლარს (ყოველ საათში რვა ათასი დოლარი) აღემატება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას ფულზე ლაპარაკი არ უყვარს და მისდევს მცნებას: იღებ იმდენს, რამდენსაც იმსახურებ.

როგორც გახსოვთ, შარშან, ადელაიდაში გამართული რბოლის დროს, შუმახერის მანქანა დემონ ხილის მანქანას შეეჯახა, ბრიტანელმა პრესამ იგი სრულიად დაუმსახურებლად უკიდურესად შეურაცხმყოფელი ეპიტეტებით შეამკო. როგორც შუმახერი ამბობს, ასეთ დროს იგი ცდილობს — საერთოდ არ იფიქროს რბოლაზე. უსმენს მუსიკას, კითხულობს, სეირნობს. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ახალგაზრდა კაცს ანდერძიც აქვს დატოვებული და 120 ათას დოლარ სადაზღვეო თანხასაც იხდის.

მიხაელ შუმახერს ხშირად გმირადაც მოიხსენიებენ. ასეთი შეფასებისას იგი თავს უხერხულად გრძნობს, რადგან იცის, ცხოვრებაში აღზევებაც არის და ჩავარდნაც, მაგრამ მას მაინც დიდი იმედი აქვს, რომ ოცნებებს რეალობად აქცევს.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით ატყობინებს, რომ გარდაიცვალა ვეტერანი ფეხბურთელი

ავთანდილ პაიჭაძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს,

გაზეთის დღევანდელი ნომერი აწყო და დაკაბადონდა გაზეთ „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემით.

ხელმძღვანელი: გ. სიმონიშვილი

შემსრულებლები: ქ. შოშიტაშვილი, ნ. რამიშვილი, მ. ჯიღაური, მ. ნონარია.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380096, მ.კოსტავას 14. ტელეფონი 99-56-14, 99-56-47. ინდექსი 66435 INDEX.